# შირაქი
SHIRAKI
www. open.ge
გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
№49 (9.714)
30 დეკემბერი–9 იანვარი 2015 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


## ილია მეორეს ხალხის რჩეულის საპატიო ჯილდო გადაეცა


გვ.2


გვ.8

## ვარსკვლავთცვენა დედოფლისწყაროში

ნინი ბადურაშვილი: „ძალიან მიხარია, რომ უკვე მეორე წელია, დედოფლისწყაროში ჩამოვდივარ და წინასაახალწლო განწყობას ვქმნით. მშვენიერი კონცერტი გამოვიდა, ძალიან თბილი გარემოა, აქ საუკეთესო მაყურებელი მხვდება.“

ნინი შერმადინი: „ვეცადე, ჩემი წვლილი შემეტანა საახალწლო განწყობის შექმნაში. მინდა მოგილოცოთ 2016 წლის შემობრძანება და ყველას ბედნიერება, ხვავი და ბარაქა გისურვოთ.“

## ბიძინა ივანიშვილი - არ ვიცი ისეთი პრობლემები, რომელსაც ღარიბაშვილმა თავი ვერ გაართვა, ის წავიდა თავისი წარმატებების ზენიტში

გვ.2



## ახალი პრემიერი ინტერნეტ–კაზინოების წინააღმდეგ



გვ.3

## შობის ღამის ზღაპარი


გვ.5

## სპორტის ცენტრმა ანგარიში ჩააბარა


გვ.5

## საახალწლო ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია

გვ.7






## გაზეთში საჩუქარია - 2016 წლის საეკლესიო კალენდარი

## გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

*2016 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.*

**გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.**

# გისურვებთ ბედნიერ შობა–ახალ წელს!

C M Y K

# ბიძინა ივანიშვილი - არ ვიცი ისეთი პრობლემები, რომელსაც ღარიბაშვილმა თავი ვერ გაართვა, ის წავიდა თავისი წარმატებების ზენიტში

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ექსპრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას დადებითად აფასებს. როგორც ივანიშვილმა ტელეკომპანია GDS-ის ეთერში განაცხადა, ირაკლი ღარიბაშვილი კარგი პრემიერი იყო. "მე ვერ ვხედავ და არ ვიცი ისეთი პრობლემები, რომელსაც ღარიბაშვილმა თავი ვერ გაართვა. გავიხსენოთ, როგორი გუნდი მოვედით. ირაკლი ღარიბაშვილი დასაწყისში იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. ასევე გავიხსენოთ ის რეალობა, რომელიც მივიღეთ. მძიმე სამინისტრო მიიღო ირაკლიმ და მე ვფიქრობ, ძალიან წარმატებით გაართვა თავი", - აღნიშნა ივანიშვილმა. მისივე თქმით, ღარიბაშვილმა თანამდებობა წარმატების ზენიტში დატოვა. "კარგი პრემიერი იყო ირაკლი ღარიბაშვილი. პროცესში მე და გუნდის წევრები, რომლებსაც არ გვქონდა პოლიტიკური გამოცდილება, გავიზარდეთ. ირაკლიც საკმაოდ გაიზარდა და ის წავიდა თავისი წარმატებების ზენიტში და პიკზე, ისევე, როგორც მე, როგორც პოლიტიკოსმა, მოვახერხე ის, რაც მოვახერხე გუნდთან ერთად. ასევე ირაკლი ღარიბაშვილმა იმოღვაწა ჩემი აზრით ძალიან წარმატებულად. შეაჯამა სამი წლის განმავლობაში და არ გავიმეორებ იმ შედეგებს და ციფრებს, რომლებსაც ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობამ მიაღწია. ირაკლი ღარიბაშვილი წავიდა, როგორც წარმატებული პრემიერი", - განაცხადა ივანიშვილმა.

მან ასევე ისაუბრა ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შესახებ და აღნიშნა, რომ ექსპრემიერმა საკუთარი გადაწყვეტილების შედეგად და-



ტოვა თანამდებობა.

ივანიშვილის თქმით, ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომამდე მასთან კონსულტაციები ჰქონდა, თუმცა რაიმე ტიპის ზეგავლენა არ მოუხდენია. "ცდილობენ ოპონენტები, რომ ეს მე მომაწერონ - ეს ასე არ არის. მე მქონდა რჩევები ადრეც, ამ დროსაც და მომავალშიც მექნება. თუმცა რჩევები რჩევებად რჩებოდა.. გადაწყვეტილება მიიღო ირაკლი ღარიბაშვილმა. ეს იყო მისი პირადი გადაწყვეტილება. რჩევები და კონსულტაციები ძალიან ბევრ თემაზე გვქონდა, თუმცა ირაკლი ისე აკეთებდა, როგორც საჭიროდ თვლიდა და მე არანაირი ბერკეტი არ გამაჩნდა", - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. რაც შეეხება იმას, რომ გუნდის წევრები არ იყვნენ ინფორმირებულები პრემიერის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ივანიშვილმა განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა გადაწყვეტილების მიღება "ცოტა იჩქარა". "რაც შეეხება გუნდს, გუნდის ძალიან ბევრი წევრი იყო დაბნეული, რამეთუ არ იყვნენ ინფორმირებული. მე და ირაკლის გვქონდა რამდენიმე შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით და გვქონდა ერთნაირი შეხედულებები. ჩვენ დროსთან დაკავშირებით ვიყავით განსხვავებულ პოზიციაზე. ირაკლიმ იჩქარა ბოლო დროს, შეიძლებოდა ეს უფრო გვიანაც მომხდარიყო და შესაბამისად ვერ მოხდა ინფორმირება გუნდის ყველა წევრის", - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა ასევე განიხილა ირაკლი ღარიბაშვილის სამომავლო პერსპექტივებიც:

ირაკლი ღარიბაშვილს თუ სურვილი გაუჩნდება, შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი პოლიტიკური გუნდი, - ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია GDS-ის ეთერში განაცხადა. მისი თქმით, მას შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში, კრიზისულში თუ არაკრიზისულში, თავისუფლად ჩამოაყალიბოს ახალი პოლიტიკური გუნდი და ამის რესურსი გააჩნია. ასევე, როგორც ივანიშვილი აღნიშნავს, ღარიბაშვილს ამჟამინდელი გუნდიც სიამოვნებით მიიღებს, თუ ამის საჭიროება იქნება. "ამის შესახებაც ზედმეტი აჟიოტაჟი აწიეს, თუ როგორ გაბედა და არ თქვა მან, სად მიდის. თავისი წასვლით მან ძალიან ღირსეული ნაბიჯი გადადგა. წასვლის არსი მხოლოდ წასვლაშია, რომ მან მისცეს სხვებსაც საშუალება მოსინჯონ ძალა. ჩვენ ახალგაზრდა პოლიტიკური გუნდი გვყავს და ძალიან ცოტა გამოცდილება გვაქვს და მისი წასვლით მან გუნდის წევრებს მისცა საშუალება, თვითონაც მოსინჯონ და შესაძლოა უფრო წარმატებულებიც იყვნენ. ირაკლი ღარიბაშვილს საკუთარ გუნდში აქვს ავტორიტეტი. მას არაერთხელ უთქვამს, რომ ნებისმიერ დროს თუ გუნდს დაჭირდება, გვერდით დაუდგება, მათ შორის უახლოეს არჩევნებში, 2016 წელს. თუ სურვილი გაუჩნდება ირაკლის, გუნდი მას სიხარულით დაიბრუნებს და მიიღებს. გარდა ამისა, ირაკლის თუ სურვილი გაუჩნდება, შეუძლია სხვა პოლიტიკური გუნდი ჩამოაყალიბოს. ის იმხელა რესურსით წავიდა, რომ შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში, კრიზისულში თუ არა კრიზისულში, თავისუფლად ჩამოაყალიბოს ახალი პოლიტიკური გუნდი და ამის რესურსი გააჩნია", - განაცხადა ივანიშვილმა. მისივე თქმით, ირაკლი ღარიბაშვილის სახით ძალიან ღირსეული სათადარიგო მოთამაშე გაჩნდა. "ნახეთ, ჩვენი ოპოზიცია როგორია, თვალი ვისზე გაგიჩერდებათ?! რომელი პოლიტიკოსი წავიდა გამარჯვებული?! კარგი სათადარიგო მოთამაშე გავჩნდი მეც, ირაკლიც ძალიან ღირსეული სათადარიგო მოთამაშე გაჩნდა საკუთარი გუნდისთვისაც და საერთოდ, საქართველოს პოლიტიკაში გაჩნდა ადამიანი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში ახალი გუნდი ჩამოაყალიბოს. ირაკლის აქვს ძალიან კარგი იმიჯი საზოგადოებაში, საზოგადოების დიდ ნაწილს ირაკლი უყვარს და დღესაც ძალიან ბევრი მირეკავდა განცდებით, თუ რატომ წავიდა თანამდებობიდან", - აღნიშნა ივანიშვილმა. მისივე თქმით, პოლიტიკიდან გავიდა ისეთი მოთამაშე, რომელსაც დიდი რესურსი გაჰყვა. "ნუ ვართ გაკოტრებული პოლიტიკის ხარჯზე. პოლიტიკოსების 90% გაკოტრებულია "ნაციონალური მოძრაობის" მეთაურობით. პოლიტიკიდან ირაკლი ღარიბაშვილის სახით გავიდა კიდევ ერთი მოთამაშე, რომელსაც დიდი რესურსი გაჰყვა და მას შეუძლია თუ ქვეყანას გაუჭირდება, დაბრუნდეს საკუთარ გუნდში და თუ არ მოუნდება საკუთარ გუნდში დაბრუნება, ყოველგვარი ივანიშვილისა და ყოველგვარი საკუთარი გუნდის გარეშე, საკუთარი რესურსით ჩამოაყალიბოს პარტია და დაეხმაროს ქვეყანას", - განაცხადა ივანიშვილმა.

# პრეზიდენტმა საპოლიციო გამოსახლების გაუქმებას ხელი მოაწერა

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საპოლიციო წესით გამოსახლების გაუქმებასთან დაკავშირებულ კანონთა პაკეტს.29 დეკემბრიდან კერძო საკუთრების მფლობელებს მათ საკუთრებაში მცხოვრები პირების გამოსახლებისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება დასჭირდებათ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, გიორგი კვერენჩხილაძის განცხადებით, მიღებული ცვლილებები სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის დამკვიდრებას და გაძლიერებას ემსახურება.

მანამდე ე.წ. საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის გაუქმების შესახებ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ვეტოს დადების მოთხოვნით პრეზიდენტს ბიზნესმენებმა მიმართეს.

„არაერთხელ დაუფიქსირებია საქართველოს პრეზიდენტს, რომ ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის საკითხებზე, რომელიც კერძო სექტორისა და ბიზნესისათვის დიდი მგრძნობელობით და მნიშვნელობით გამოირჩევა, აუცილებელია საკითხის დაყენებისთანავე მოხდეს მათ წარმომადგენლებთან კონსულტაციები, რათა კანონის მიღების შემდეგ გარკვეული კითხვები აღარ ისმებოდეს“,- განაცხადა გიორგი კვერენჩხილაძემ.

ბანკების ასოციაციის პრეზიდენტის ზურაბ გვასალიას თქმით, საპოლიციო გამოსახლების გაუქმება კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას მნიშვნელოვნად ზღუდავს. ბანკების ასოციაცია კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში, ბანკებისთვის გაზრდილი რისკების გამო, იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდას ელოდება.

„სერიოზული პრობლემები შეიქმნება იპოთეკურ ბაზარზე, გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები, ვინაიდან ეს ყველაფერი რისკებთან არის დაკავშირებული და სწორედ რისკების გამო საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება“, - განაცხადა ზურაბ გვასალიამ.

# ილია მეორეს ხალხის რჩეულის საპატიო ჯილდო გადაეცა



საქართველოს კულტურის პალატის პირველი საპატიო ჯილდო „ხალხის რჩეული“ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს გადაეცა.

„პირველობა ძნელია, მაგრამ ვილაც ხომ უნდა იყოს სამიზნე და ღმერთმა მარგუნა ეს. რთული გზა გამოვიარე. რთული გზა გამოიარა საქართველოს ეკლესიამ. არჩევის დღიდან ჩემი პირველი მიზანი იყო, რომ ჩვენ გავმთლიანებულიყავით“, - განაცხადა პატრიარქმა.

კულტურის პალატამ ხალხის რჩეულის გამოსავლენად გამოკითხვა მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა.

„მოსახლეობის 100%-მა ერთხმად აღიარა, რომ ამ ჯილდოს მფლობელი ჩვენი უწმინდესია“, - განაცხადა კულტურის პალატის ხელმძღვანელმა, დავით ოქიტაშვილმა.

საქართველოს კულტურის პალატის საპატიო ჯილდო - „ხალხის რჩეული“ გადაეცემა ყველა სფეროს წარმომადგენელს, რომელიც საზოგადოებრივ- აქტიურ ცხოვრებას ეწევა და თავისი წვლილი შეაქვს კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტის, ხელოვნების და სხვა დარგების განვითარებასა და წარმატებაში.

# პოლიციელის მკვლელობის გამო თელავში საახალწლო ღონისძიებები აღარ გაიმართება

თელავში 31 დეკემბრისთვის დაგეგმილი ყველა საახალწლო ღონისძიება გაუქმდა. კახეთის გუბერნატორის ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით, ღია ცის ქვეშ დაგეგმილი საახალწლო კონცერტისა და სხვა ღონისძიების გაუქმების გადაწყვეტილება მან პოლიციელების მკვლელობის გამო მიიღო.

შეგახსენებთ, რამდენიმე საათის წინ მკვლელობა მოხდა თელავის საპატრულო პოლიციის ეზოში. 19 წლის მამაკაცმა პოლიციის თანამშრომელი გელა ლამაზოშვილი მოკლა, 35 წლის მაია ჯავახიშვილი კი დაჭრა. იგი თელავის ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავსეს.

დაჭრილი პოლიციელის დასახმარებლად თბილისიდან თელავში ვერტმფრენით ექიმთა ჯგუფი გაიგზავნა. ამის შესახებ ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განუცხადა, რომელმაც ცოტა ხნის წინ თელავის ცენტრალურ საავადმყოფოში დაჭრილი სამართალდამცავი მოინახულა. ამასთან, შს უწყების ხელმძღვანელის ინფორმაციით, დაკავებულია 19 წლის სანდრო მეტრეველი, ნივთმტკიცებად კი ამოღებულია სანადირო თოფი. "მედიაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა - გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან არ მომხდარა. ამოღებულია სანადირო თოფი", - აღნიშნა მღებრიშვილმა. მისივე ინფორმაციით, დაკავებულმა, რომელიც პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს, სამართალდამცავების მისამართით გასროლა არა პოლიციის ეზოდან, არამედ საკუთარი სახლის ეზოდან მოახდინა. რაც შეეხება დაჭრილ პოლიციელს, მაია ჯავახიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მინისტრის ინფორმაციით, უმძიმესია. მომხდარის გამო გიორგი მღებრიშვილმა, რომელიც მინისტრთა კაბინეტის სხდომას ესწრებოდა, მთავრობის ადმინისტრაცია დატოვა და თელავში გაემგზავრა.

სამწუხაროდ, დღის ბოლოს, თელავის რაიონულ საავადმყოფოში, რამდენიმე საათიანი ოპერაციის შემდეგ, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი მაია ჯავახიშვილი გარდაიცვალა. ექიმები მის გადარჩენას მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

# ქვეყანას ახალი პრემიერი ჰყავს

პარლამენტმა საქართველოს მთავრობის განახლებული შემადგენლობა დაამტკიცა. საკანონმდებლო ორგანომ მინისტრთა ახალი კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს კენჭი 29 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე უყარა.

მთავრობას ნდობა 86-მა დეპუტატმა გამოუცხადა, 28 წინააღმდეგი წავიდა. გიორგი კვირიკაშვილის მინისტრთა კაბინეტს მხარი არ დაუჭირეს „ნაციონალურმა მოძრაობამ" და „თავისუფალმა დემოკრატებმა".

მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა დატოვა. საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად გიორგი კვირიკაშვილი დასახელდა, რომელმაც, თავის მხრივ, პარლამენტს ნდობის გამოსაცხადებლად მთავრობა თითქმის უცვლელი შემადგენლობით წარუდგინა. ერთადერთი ცვლილება განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მინისტრის პოსტი მიხეილ ჯანელიძემ დაიკავა.

მთავრობაში ორი ვიცე-პრემიერი იქნება - დიმიტრი ქუმსიშვილი და კახი კალაძე, - ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირკაშვილმა განაცხადა. კვირიკაშვილის შეფასებით, პარლამენტში საკმაოდ საინტერესო დებატები გაიმართა. "ჩვენი მხრიდან იქნა წარმოდგენილი დეტალური მიდგომები თუ რას გავაკეთებთ იმისათვის, რომ ქვეყანა გავხადოთ უკეთესი. იყო მცდელობა, რომ ჩვენი კონსტრუქციული, მეგობრული თანამშრომლობის სულისკვეთებით გაჟღენთილი ტონალობა შეცვლილიყო. თუმცა არ ავყევით ამ მცდელობებს. დავრჩით იმავე ტონალობაში, რა ტონალობაშიც ვაპირებთ გავაგრძელოთ პოლიტიკური ცხოვრება და ვფიქრობთ, რომ ქვეყანაში დავამკვიდროთ სიმშვიდე და სტაბილურობის შეგრძნება. ეს იქნება ჩვენი მთავარი ქვაკუთხედი. ჩვენი ქვაკუთხედი იქნება ეკონომიკის განვითარება. ეს არის უდიდესი პასუხისმგებობა ჩვენი ქვეყნისა და თანამოქალაქეების წინაშე. როგორც უკვე ვთქვი, საქართველო უნდა გაერთიანდეს და საზოგადოებამ უნდა გაიმარჯვოს", - განაცხადა კვირიკაშვილმა. ჟურნალისტების კითხვაზე - თუ ვინ იქნება ვიცე-პრემიერი და მოსალოდნელია თუ არა ცვლილებები მთავრობაში, კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ „ორი ვიცეპრემიერი იქნება -დიმიტრი ქუმსიშვილი და კახი კალაძე. როგორც იცით, საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა მიხეილ ჯანელიძე. დანარჩენ ცვლილებებზე უფრო მოგვიანებით ვისაუბრებთ".



პარლამენტში გამართული დებატები კი მრავლისმომცველი იყო.

„ეროვნული ფორუმის" წარმომადგენელი, გუბაზ სანიკიძე კვლავაც დაინტერესდა ირაკლი ღარიბაშვილის წასვლის მიზეზით, - "უნდა ვიცოდეთ, საქართველოს პრემიერ მინისტრი რატომ წავიდა", - განაცხადა მან. "აქ არ არის პერსონაზე - ირაკლი ღარიბაშვილზე ლაპარაკი, ქართულ სახელმწიფოს სჭირდება პასუხი. ამ შემთხვევაში ქართული საზოგადოება ვართ ერთსულოვანი, რადგან ამ დარბაზში რამოდენიმე კაცმა იცის, რატომ წავიდა ირაკლი ღარიბაშვილი. ეს სახელმწიფოსთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. როგორ გაგრძელდება ჩვენი ცხოვრება ამისთვის მნიშვნელობა ენიჭება თუ როგორ წავიდა პრემიერ-მინისტრი. ის ვერსია, რომ იქმნება პრეცედენტი, პოლიტიკური მოღვაწეობის პიკზე ადამიანი უნდა წავიდეს, ჩემთვის პირადად არ არის დამაჯერებელი და მიუღებელიცაა. გამონაკლისია ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც დააანონსა, რომ მალე წავიდოდა პოლიტიკიდან. მაგრამ არა მგონია, რომ პრემიერ-მინისტრებმა ასეთი პირობა უნდა დადონ მომავალში. საქართველოს ეს არ სჭირდება. კეთილი უნდა ვინებოთ და მთავრობამაც და პარლამენტმაც, თითოეულმა მოქალაქემ პასუხი უნდა ვაგოთ ჩვენს ქმედებაზე", - განაცხადა სანიკიძემ. საზოგადოებაში უკვა აქტიურად განიხილება ღარიბაშვილის მომავალიც. ჩვენი ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, ღარიბაშვილი შესაძლოა გაეროში მუდმივ წარმომადგენლად გაუშვან, დღეს ეს პოსტი კახა იმნაძეს უკავია, ასევე არსებობს ვარაუდი, რომ მას ბიძინა ივანიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისთვის ამზადებს, თუმცა უმრავლესობის რიგი წარმომადგენლები ამას კატეგორიულად გამორიცხავენ.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, უნდა შემცირდეს საზოგადოების პოლიტიზაცია. "საერთოდ, პოლიტიკაშიც და საზოგადოებაშიც ალბათ ფიზიკის კანონები მოქმედებს. ჩვენ არ გვქონდა მარტივი მემკვიდრეობა და ამ მემკვიდროებას, ბუნებრივია, მოჰყვა რეაქციები როგორც საზოგადოებაში, ისე პოლიტიკოსების მხრიდან. ვფიქრობ, ჩვენ მივედით განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საზოგადოება დავაწყნაროთ, დავამშვიდოთ, გვქონდეს სტაბილურობის შეგრძნება და საზოგადოებაში პოლიტიზაცია შევამციროთ. მე გუშინ ვთქვი, რომ ჩვენ, პოლიტიკოსები, ნამდვილად ვიქეცით ერთი დიდი სპექტაკლის ნაწილად. მე მაქვს შეგრძნება, რომ ჩვენ ყველანი ვართ გლადიატორები, რომლებსაც ყოველ საღამოს ტელევიზიით გვიყურებენ ჩვენი თანამოქალაქეები. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა დასრულდეს".

გიორგი კვირიკაშვილი დღეს პარლამენტში რიგგარეშე სხდომაზე გამოსვლისას გამოეხმაურა წამების კადრების საჯაროდ ჩვენებას. ერთ-ერთი დეპუტატის თქმით, ამ კადრების საჯარო ჩვენებაში გურიის გუბერნატორი, გია სალუქვაძე იყო ჩაართული. კვირიკაშვილის შეფასებით, ის, რომ საჯარო თავშეყრის ადგილებში მოეწყო აღნიშნული ტიპის კადრების ჩვენება იყო "საშინელება". "გულწრფელად გეუბნებით, არ ვიცი, ეს პიროვნება იყო თუ არა ამ ჩვენებაში ჩარეული. ეს იყო საშინელება, რომ ვიღაცამ გააკეთა ორგანიზება და საჯარო თავშეყრის ადგილებზე მოეწყო წამების კადრების ჩვენება. თავისთავად საშინელებაა ის, რომ ასეთი კადრები არსებობს ბუნებაში და რომ ჩვენ ეს მემკვიდრეობა გაგავაჩნია, მაგრამ მით უმეტეს დანაშაულია ღია სივრცეში ამ კადრების გაშვება და ჩვენება. თუ მე აღმოვაჩინე, რომ ასეთი ჩარევა არსებობდა, დამერწმუნეთ, ჩემი გადაწყვეტილებები იქნება შესაბამისი. მე ამას ამ ტრიბუნიდან გეუბნებით". პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი პარლამენტის ფუნქციონირებასაც შეეხო. მისი განცხადებით, უმჯობესი იქნება პარლამენტი თბილისში იყოს, თუმცა ის პატივს სცემს საკონსტიტუციო უმრავლესობის აზრს. "თუ პარლამენტის გადაწყვეტილება იქნება, რომ ქუთაისში გააგრძელებს საქართველოს პარლამენტი ფუნქციონირებას, ჩვენ ინვესტიციებს განვახორციელებთ სახელმწიფოს მხრიდან და პარლამენტის შენობის ირგვლივ დამატებითი კეთილმოწყობა განხორციელდება".

კვირიკაშვილი გამოეხმაურა ბოლო პერიოდში მომატებულ რუსულ პროპაგანდას. "ძალიან მაწუხებს მომატებული რუსული პროპაგანდა. ეს არის დამაზიანებელი ჩვენი საზოგადოებისთვის. ეს არის სიცრუის მანქანა, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს. ჩვენი ქვეყნის გამოცხადებული სტრატეგიისთვის ეს არის საზიანო. ამ ეტაპზე უფრო მეტის თქმა არ შემიძლია. მე გპირდებით, რომ ამ მიმართულებით როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური პოლიტიკის თვალსაზრისით შევეცდებით, რომ გადავდგათ მნიშვნელოვანი ნაბიჯები. დარწმუნებული ვარ, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამინისტროს ფარგლებში შექმნილი სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს სწორი სტრატეგიული კონტრპროპაგანდის სახით. ეს პროპაგანდა ჩვენ ყველას გვაწუხებს".

# კვირიკაშვილი ინტერნეტ-კაზინოების წინააღმდეგ-

## აიკრძალება ონლაინ აზარტული თამაშები?!

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ გიორგი კვირიკაშვილის აზრით, ე.წ. ინტერნეტ-კაზინოების მიმართ ძალიან მკაცრი რეგულაციები უნდა დაწესდეს. "აზარტულ თამაშებს რაც შეეხება, თქვენ ახსენეთ ინტერნეტ-კაზინოები. მე საფუძვლიანად შევისწავლი ამ საკითხს. ჩვენი წინასწარი მონაცემებით, საკმაოდ დამაზიანებელია ეს ბიზნესი, თუ არ იქნა ძალიან მკაცრი რეგულაციები. მე უბრალოდ მინდა გავერკვე, როგორ შეიძლება ამ ტიპის ბიზნესში მკაცრი რეგულაციების აღსრულება. თუ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ასეთი რეგულაციების აღსრულება ფიზიკურად შეუძლებელი იქნება, შესაძლოა, სხვა ტიპის ზომებიც მივიღოთ. ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, რომ საფუძვლიანად შევისწავლით ამ საკითხს და შევეცდებით, რომ ის ზიანი, რომელიც მოქალაქეებისთვის მოაქვს ამ ბიზნესს, თავიდან იქნას აცილებული", - განაცხადა კვირიკაშვილმა დღეს მიმდინარე პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე, სადაც საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს განიხილავენ. რაც შეეხება ფიზიკურ კაზინოებს, კვირიკაშვილის თქმით, თუ არის რაიმე ტიპის დამატებითი რეგულაცია საჭირო, მთავრობა ამას შეისწავლის, თუმცა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის თქმით, ამ ბიზნესს არაფერი უნდა დაემუქროს, რადგან ის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა სასტუმრო და ტურიზმის ინდუსტრიისთვის.






# დამდეგ 2016 წელს გვილოცავენ!



**მანანა მაჭარაშვილი, დედოფლისწყაროს რაიონული ბიბლიოთეკის დირექტორი,** - „როგორ ვეგებები ახალ წელს? რაიმე განსაკუთრებული რიტუალი არ გვაქვს, ვხვდები ოჯახურ წრეში გამზადებული სუფრით. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის 2015 წელი კარგი წელი იყო და 2016 წელსაც უკეთესის მოლოდინი მაქვს. ახალ წელს ქართველ ხალხს ვუსურვებ ბარაქას მშვიდობას და ერთიანობას. არ მაქვს უფლება და მიზეზი უიმედობის, რადგან 2016 წლიდან ახალ გარემონტებულ და ახალი ინვენტარით სავსე ბიბლიოთეკაში ვიქნებით მე და ჩემი თანამშრომლები, მრავალ ახალ წელს ქართველებო!



ნინო პაატაშვილი, **„კორსტანდარტბანკი“** -„2016 წლისთვის ადამიანებს ვუსურვებ ჯანმრთელობას, უამრავ კარგ ამბებს და ყველაფერს კარგს, ცოტა მეტ აქტიურობას და თვითშეგნების ამაღლებას.“



ფატი ჯანყარაშვილი, **ექიმი**-2016 წლისგან ველი სიკეთეს, სიყვარულს და ურთიერთგაგებას ადამიანთა შორის. როგორც მედიკოსი, უპირველესად ადამიანებს ვუსურვებ ჯანმრთელიბას, სულიერ სიმხნევეს, გონიერებას და, რაც ყველა ოჯახისთვის აუცილებელია, ხვავს და ბარაქას. პირადად ჩემთვის მიმაჩნია, რომ უკეთესის მომტანი იქნება დამდეგი წელი, როგორც კარიერული თვალსაზრისით, ასევე ოჯახური ურთიერთობების მხრივ. იმედი და უკეთესის მოლოდინი ნუ მოგვიშალოს უფალმა.



ირმა ბენაშვილი, **მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი,**-„დამდეგ ახალ წელს ადამიანებს ვუსურვებ ყოველივე კარგს და ლამაზს. სიხარული, ბედნიერება, საყვარული და რაც მთვარია, ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს. ჯანმრთელობა ჰქონოდეს ყველას, მშვიდობიან და წარმატებულ საქართველოში გვეცხოვროს.



მარინა ცხვედიაშვილი **პოეტი,** -2016 წლისთვის ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემას ვუსურვებ ქართველ ხალხს, რადგან იქ, სადაც სიყვარულია, ყველაფერი დაძლევადია, თვით ყველაზე დიდი გაჭირვებაც კი, იმედი და სიხარული არ მოშლოდეს სრულიად საქართველოს.



მანია ლეკაშვილი, **91 წლის:** „ღმერთმა მშვიდობის წელი გაუთენოს სრულიად საქართველოს. მე, როგორც ომგამოვლილი ქალი, უპირველესად ამას ვუსურვებ ჩემს ქვეყანას. მინდა, რომ ჯანმრთელობა და სიხარული იყოს ყველა ქართველის, თითოეული დედოფლისწყაროელის ოჯახში. მჯერა, 2016 წელი გაცილებით უკეთესი იქნება. ხვავი და ბარაქა არ მოგაკლოთ, ჩემო ძვირფასებო!“

# კონცერტი ხელოვნების სკოლაში

საახალწლო ზეიმებია დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაშიც. აქ პედაგოგთა რამდენიმე ნაწილი ცალცალკე მართავ თავისი მოსწავლეების საკლასო ღონისძიებებს, რომლებსაც, როგორც წესი, ძირითადად, მოსწავლეთა ახლობლები და თავად პედაგოგები ესწრებიან ხოლმე. პედაგოგებმა: ლია ხაჩიაშვილმა, ირმა ოზაშვილმა, ევგენია ხუციშვილმა, თამუნა კიკილაშვილმა, ნინო ნიკვაშვილმა და ნინო ლაპიაშვილმა წარმოადგინეს თავისი მოსწავლეები, რომლებმაც მიმდინარე წელს პროგრამულად შესწავლილი მასალა დაუკრეს. მოსწავლეებმა შეასრულეს ექსანიშვილის, მერაბიშვილის, ვებერის, ჰაიდნის, მაიკაპარის, ფარცხალაძის, მოცარტის, ჰენდელის ნაწარმოებები. შეასრულეს საახალწლო სიმღერები, წარმოთქვეს ლექსები და იცეკვეს. შემაჯამებელ კონცერტზე ჭარბობდნენ ხელოვნების სკოლის პირველკლასელი ბავშვები, რომელთა იქ ყოფნამაც ხალისი შეიტანა საღამოს მსვლელობაში. მათ თავად ხელოვნების სკოლის დირექტორი ქალბატონი მარინე კიკილაშვილი გაესაუბრა და რამდენიმე კითხვა დაუსვა ინსტრუმენტების რაობის თაობაზე. კითხვებზე ბავშვებმა სხარტად გასცეს პასუხები და განსაკუთრებული მუსიკალური განსწავლულობა გამოამჟღავნეს თავიანთ ასაკთან შესაბამისობაში. ქაკბატონი მარინა კმაყოფილი დარჩა და გამოთქვა აზრი, რომ ეს ის თაობა მოდის, რომელიც შემდგომ წლებში ასახელებენ ხელოვნების სკოლას!





მოულოდნელად ფანჯრებში ფიფქები შენიშნეს პატარებმა, ხელოვნების სკოლის ფანჯარაში თოვლის პაპა გამოჩნდა, ის ფანჯრიდან ბავშვებს ხელს უქნევდა, რამაც ბავშვებში დიდი ემოცია გამოიწვია. თოვლის პაპის შემოსვლას მხიარულება და ოვაციები მოჰყვა, მერე ტორტიც გაიჭრა. ისე, რომ შემაჯამებელი გაკვეთილი მხიარულებაში გადაიზარდა, რამაც ბავშვებს ძალიან დიდი სიხარული მიანიჭა. მთავარი მისიაც ესაა, კულტურასთან ერთად შერწყმული ის უდარდელი ბავშვობა, რომელიც სწავლა-სწავლაში და ზეიმზეიმში ისე უნდა გაილიოს, რომ ბავშვობამ თავისი წარუშლელი, უდარდელი კვალი დატოვოს პატარების ცხოვრებაში.

და ბოლოს, მართალია ხელოვნების სკოლის პედაგოგებს ძალიან დაბალი ხელფასი აქვთ, მართალია, მოსწავლეთა რიცხვი ცოტა შემცირდა, მართალია დანესტილ და კუთხეგამონგრეულ კედლებში უწევთ ზეიმების ჩატარება, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს პედაგოგთა მონდომებას, ბავშვებს და საკუთარი საქმის სიყვარულს არავინ ღალატობს. ღმერთმა დალოცოს თქვენი საქმე პედაგოგებო!

ლალი მეხრიშვილი

# ხელოვნება ჩვენი ქვაკუთხედია

ხელოვნების სკოლაში ძველი და ახალი თაობის პედაგოგები ერთობლივად და შეხმატკბილებულად უძღვებიან იმ დიდ და საშვილიშვილო საქმეს, რასაც თაობათა მუსიკასთან ზიარება ჰქვია. თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სკოლის კედლებში დედა-შვილის, დარეჯან შანშაშვილის და თამარ კიკილაშვილის მოღვაწეობა. დარეჯან შანშაშვილი უკვე ღვაწლმოსილი ფორტეპიანოს პედაგოგია. ის პროფესიონალი მუსიკოსია და რამდენიმე ათეული წელია, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მისი შვილი თამარ კიკილაშვილი, ასევე წლებია ამ სკოლის პედაგოგია და რაიონში ერთადერთ, უკონკურენტო პედაგოგად ითვლება ვიოლინოში. დედა-შვილის მოღვაწეობას ცხადია კიდევ უფრო ამდიდრებს მამის და მეუღლის ირაკლი კიკილაშვილის მუსიკალური ღვაწლი რაიონის და ქვეყნის წინაშე. მან არაერთი ნაწარმოები აჩუქა



ქიზიყს და სრულიად საქართველოს მუსიკალურ თაობებს.

ამ დღესაც დედა-შვილი თამარ კიკილაშვილი და დარეჯან შანშაშვილი გაერთიანდნენ და საკუთარი მოსწავლეების ნაწარმოებების წარდგენით ერთი მშვენიერი კონცერტი გამართეს. შესანიშნავად დაუკრეს გვანცა ყავრელიშვილმა, იოვანე შიუკაშვილმა, ნიკა ქუმსიაშვილმა, ნინო ფიროსმანაშვილმა, მარიამ კვანჭილაშვილმა, მარიამ მოლაშვილმა, თებრო ლომსაძემ, კატო გვენეტაძემ, თეკლე გიგოლაშვილმა და ანა ჩუთლაშვილმა. შესრულდა ნაწარმოებები, როგორც ვიოლინოზე ასევე ფორტეპიანოზე და ორივე ერთად.

მინდა აღვნიშნო, რომ ფორტეპიანო უზომოდ ჟღერადი და სასიამოვნო მოსასმენი ინსტრუმენტია და მიმაჩნია, რომ ყველა ახალგაზრდა უნდა ეზიაროს მისი დაკვრის კულტურას ვიოლინოს ჰანგები, ეს კიდევ უფრო ზემაღალი შეგრძნებებია, კიდევ უფრო მაღალი რანგის აკორდებით საუბარია, რასაც სიტყვები ვერ აღწერს. ვიოლინოს ხმა სიყვარულის ხმაა, ჩვენში თითქოს ზეციდან შემოჭრილი.

წარმატებები მინდა ვუსურვო ორივე პედაგოგს, დედა-შვილს, რომლებიც ისეთ მადლიან საქმეს ემსახურებიან, როგორიც მუსიკაა. მეტი დაფასება მინდა ჰქონოდეს მათ პედაგოგიურ შრომას.

ლალი მეხრიშვილი

# სპორტის ცენტრმა ანგარიში ჩააბარა

კორპორაციული და საანგარიშო საღამო გამართა მუნიციპალიტეტთან არსებულმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ხელმძღვანელობამ. საღამოს ორგანიზატორი და წამყვანი გახლდათ ცენტრის ახალგაზრდობის საქმეთა მთავარი სპეციალისტი ქალბატონი ლელა ბიღიაშვილი. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ამ ცენტრის თანამშრომლები და სპორტსმენები, ასევე მოწვეული სტუმრები. აქვე გახლდათ მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის და განათლების საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი. საღამო ინდივიდუალურ მაგიდებზე გაშლილ სუფრასთან მიმდინარეობდა და ის გასართობი ხასიათის იყო. ქალბატონმა ლელამ ჩამოატარა კალათი, რომელშიც ქაღალდის პატარა გრაგნილები გახლდათ ჩაყრილი, ამ გრაგნილებში სურვილები და მოთხოვნები ეწერა, რომელიც იმ მაგიდის წევრებს უნდა შეესრულებინათ, ვისაც ისინი შეხვდა. ღონისძიებას თამადობდა ზურაბ ჩალაბაშვილი. შესრულდა ცეკვები, წაიკითხეს ლექსები, მოყვნენ თავსგადამხდარი იუმორები და 2015 წლის მნიშვნელოვანი, ყველაზე დასამახსოვრებელი დღეები.

კორპორაციულ საღამოზე დიდ ეკრანზე მოხდა ყველა იმ სპორტული შეჯიბრებებისა თუ ახალგაზრდული ღონისძიებების ჩვენება, რომელიც აღნიშნულმა სამსახურმა ამ წელში განახორციელა, ანდა მონაწილეობა მიიღო. 2015 წელს ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილ აბსოლიტურად ყველა ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ის შეუერთდა პროექტს „მოიარე საქართველოს“, წარმომადგენლები გააგზავნა „სკაუტურ ბანაკში“, აქტიურად ჩაერთო პროგრამა „მოხალისეში“. ახალგაზრდულმა სამსახურმა აალორძინა ათი წლის მივიწყებული ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად ტარდებოდა, ხოლო 25 დეკემბერს იყო დასკვნითი, შემაჯამებელი ტური, სადაც გაიმარჯვა გუნდმა „აისმა“. ექსკურსია მოეწყო რაიონის უფროსკლასელთათვის,მის ფარგლებში ბავშვებმა მოიარეს მარტყოფის მამათა მონასტერი, უყურეს რუსთაველის თეატრში ტრიდე ფილმს და ისადილეს „მაკდონალდსში”. ასევე გაკეთდა პირველკურსელი ახალგაზრდებისთვის ექსკურსია რაბათსა და მწვანე მონასტერში. ახალგაზრდული კუთხით სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში შექმნილია კლუბი „გორდა“, ამ კლუბს უამრავჯერ მიუღია ნერგების დარგვაში და ქალაქის დასუფთავებაში მონაწილეობა, მათ რამდენჯერმე სოფელ არბოშიკში მამა ლევანის თაოსნობით დარგეს კვიპაროსის ნერგები, ხოლო სამრეკლოში ტაძრის სარემონტო სამუშაოებზე მიიღეს მონაწილეობა.





რაც შეეხება სპორტს, წლის განმავლობაში მართლაც საინტერესო და მრავალმხრივ დატვირთული შეჯიბრებები მოეწყო. განვლილი წლის მანძილზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის მიერ ჩატარდა შემდეგი შეხვედრები: პირველობა ფრენბურთში, კაკო მაჩაბლშვილის 65 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში, პირველობა ფრენბურთში საჯარო სკოლების გოგონებს შორის, პირველობა ჭადრაკში ნუნუ კობაიძის სახელობის თასზე, პირველობა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის, სოფელ არხილოსკალოში ვასიკო წიკლაურის სახელობის პირველი რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობაში, პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, ნიკუშა საბიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდში, სოსო წიკლაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი რიგით მე-8 რესპუბლიკური ტურნირი გარდამავალ თასზე ფეხბურთში, იბრა გონაშვილის და გივი პაპუაშვილის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში, სოფელ გამარჯვების ტურნირი ფეხბურთში დემურ გიგაურის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი, „ელიაობა“ დღეს ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, „ფანფუტბოლი“ სოფელ არხილოსკალოში, ამავე სოფელში მოეწყო ბიჭიკო ბუჩუკურის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, „ფიროსმანობა“ დღეს ქართული ჭიდაობაში, მკლავჭიდში და ანზორ მარტყოფლიშვილის სახელობის ტურნირი „ძიუდოში“. განვლილი წელი მრავალმხრივი გამარჯვებებით დაასრულა კიკბოქსინგის გუნდის სპორტსმენებმა თამაზ ყარაგვეზაშვილის ხელმძღვანელობით. მათ მოიპოვეს შავი „ზღვის თასი“ და გახდნენ საქართველოს ჩემპიონები მარტვილის შეჯიბრებაში.

იმისთვის, რომ კორპორაციული საღამო კიდევ უფრო სახალისო, დასამახსოვრებელი და საინტერესო გამხდარიყო, შეხვედრაზე ქალბატონმა ლელამ დაასახელა სხვადასხვა ნომინაციები და ნომინანტები ფასიანი სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა. ნომინაციის მიხედვით „წლის ახალი სახე“-აღმოჩნდა თვით ამ სამსახურის უფროსი, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის უფროსი ავთანდილ ხუმარაშვილი, „ყველაზე კაროჩე“ - მისი მოადგილე გიორგი მკერვალიძე, ნომინაციაში “ყველაზე ქალბატონის” ტიტული მიიღო ქალბატონმა თამარ თამაზაშვილმა, “წლის მოუცლელი” ჩვენს გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს ერგო, ხოლო “წლის კრეატიული” ზვიად ჯავახიშვილი გახდა. საღამო მხიარულ გარემოში სამახსოვრო ფოტოსურათების გადაღებით დასრულდა.

ლალი მეხრიშვილი

# „შობის ღამის ზღაპარი“

28 დეკემბერს დედოფლისწყაროს კულტურის სახლმა ულამაზესი საშობაო ღონისძიებით დაასაჩუქრა ჩვენი პატარები...“შობის ღამის ზღაპარი“ -ასე ეწოდებოდა საღამოს, რომელმაც წარუშლელი კვალი დაუტოვა ჩვენს შვილებს...მათ ხომ შობის ღამის სასწაულების სჯერათ.

ირგვლივ ყველაფერი ცისფრად და თეთრადაა გადაწყვეტილი, ცისფერ კაბებში გამოწყობილი წამყვანები -ცარო მარტიაშვილი, თეკლა ჯიბლაშვილი, ნინი ნატროშვილი, სანტა -ანტონ ლომსაძე, თოვლის პაპა- ზურა წყარუაშვილი, ფიფქია-თიკა წიკლაური, ზღაპრის გმირები:მერი პოპინსი, თოვლის ფიფქები, ბაჭიები, ფუმფულა და საყვარელი იხვები, წუნა და წრუწუნა, ვერცხლისფრად ელავს ულამაზესი ნაძვისხე...ასეთი დეკორატიულ-თემატური შთაბეჭდილების ქვეშ დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ. კულტურის სახლის დირექტორი ცარო მარტიაშვილი 32 წელია, სცენიდან შობა-ახალწელს გვილოცავს, მას 600-ზე მეტი ღონისძიება აქვს ამ ხნის მანძილზე ჩატარებული და როგორც თვითონ ამბობს, თითქმის ყოველთვის აქვს უკმარისობის შეგრძნება, სულ რამოდენიმე ღონისძიებას გამოარჩევს, რომლებიც არ უნდოდა, რომ დასრულებულიყო...ალბათ,სწორედ ამიტომაა, რომ ის მუდამ შემოქმედებითად მუშაობს თავის თავზე, არ აძლევს თავს მოდუნების უფლებას და ყოველთვის სიახლეებს გვთავაზობს, არასოდეს მოგწყინდება მის მიერ დადგმულ ღონისძიებასა თუ სპექტაკლზე, ვერც ჩვენი კულტურის სახლის სცენა წარმომიდგენია მის გარეშე... თუმცა, როგორც ქალბატონი ცარო ჩვენთან საუბარში ამბობს, ეს მხოლოდ მისი დამსახურება არაა,თუ მის გვერდით არ იქნებოდნენ სცენის მხატვარ-დეკორატორი გია ყაჭაშვილი, მუსიკალური გამხმოვანებლები მამუკა უთრუთაშვილი და ვანო ბულულაშვილი, კოსტიუმების ავტორი მანანა ნაროზაული, გამნათებელი ვარლამ ქადაგიძე, თანამშრომლები - მაია ბოსტაშვილი, ლია მაისურაძე, თამილა ნადირაშვილი, მარიკა დუღაშვილი და ყველა დანარჩენი, ეს ღონისძიება ნამდვილად ასეთ მოწონებას ვერ დაიმსახურებდა მაყურებელთა მხრიდან.





ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ საბავშვო სტუდია „არლეკინო“(ხელმძღ.ნინო ლოლაშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლები:“იმედი“ და „შირაქი“, გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი“(ხელმძღ. დალი ელისაშვილი), ჰამლეტ გონაშვილის სახ. ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, ანსამბლი „აისელები“, დები ლოლაშვილები, ინდივიდუალური შემსრულებლები: ელენე ღვინიაშვილი, მარიამ ჯორკოშვილი, მარიამ უთრუთაშვილი,ნათია თავაძე, ზურა წყარუაშვილი, იოანე შიუკაშვილი, გიორგი ალუღიშვილი, (მუსიკალური ხელმძღ. ნინო ნიკვაშვილი).

ჩვენ შევხვდით კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელს ნონა ჯიბლაშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს იყო ძალიან შრომატევადი, ფართომასშტაბიანი ღონისძიება, წელს პირველად, მისი ინიციატივით, ბავშვთა კოლექტივები, რომლებიც წლის განმავლობაში მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში, ერთად შეკრიბეს და ჩართეს ამ საერთო დღესასწაულში.

“- ვარ უზომოდ მადლიერი ჩემი გუნდის, რომლებიც ჩემს თითოეულ იდეას ხორცს ასხამენ და ამისთვის დროსა და ენერგიას არ ზოგავენ, ამ საღამომ ძალიან ბევრი მაყურებლის მოწონება და მადლირება დაიმსახურა, ქუჩაში მხვდენიან ადამიანები,რომლებიც აღტაცებას ვერ ფარავენ და გვთხოვენ, კიდევ გავიმეოროთ ეს ღონისძიება, ამიტომ, აქვე დავაანონსებ, რომ 20 იანვრის შემდეგ დედოფლისწყაროს მოსახლეობას საშუალება ექნებათ, კიდევ ნახონ ჩვენს მიერ წარმოდგენილი “შობის ღამის ზღაპარი”.

საახალწლო ზღაპრის მონაწილეებს ღონისძიების დასასრულს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურმა საახალწლო საჩუქრები დაურიგა.

ელზა ხარაშვილი

# იხარეთ და იდღეგრძელეთ, დამიბერდით ტკბილად!

წინასაახალწლო საზეიმო განწყობა სუფევს ყველგან. სიცილითა და ჟრიამულით, ლექსითა და სიმღერით, ცეკვითა და სკეტჩებით ეგებებიან დამდეგ ახალ წელს ქ. დედოფლისწყაროს №3 ბაგა-ბაღის (დირექტორი მაია ფოცხვერაშვილი) აღსაზრდელები, მშობლები, აღმზრდელები, ერთი სიტყვით, ყველა – სტუმრებიც და მასპინძლებიც. დარბაზი საუცხოდაა მორთული. წარსულს ჩაბარდა სულ რაღაც 3-4 წლის



წინ გაყინულ დარბაზში ბავშვებს სადღესასწაულო ფორმების ქვეშ ან ზემოდან სათბილობლები რომ ეცვათ. თანამედროვე სტილით გარემონტებულ, ახალი დგამ-ავეჯით გაწყობილ და ლამაზი ფარდებით დამშვენებულ დარბაზში სითბო და სიხარული სუფევს. ყველას საახალწლო განწყობა აქვს.

თვით ბაგა-ბაღის ყველაზე პაწია აღსაზრდელებსაც კი მოუმზადებიათ ლექსები და სიმღერები და თავს იწონებენ თოვლის პაპის წინაშე, რათა საჩუქრები დაიმსახურიონ. მათი აღმზრდელი ქეთი ჯალიაშვილი მისი თანაშემწე მარიტა ბექიშვილი და ძიძა ირინა ხარებაშვილი თავს დასტრიალებენ პატარებს და ამხნევებენ მათ.

შემდეგ ჯერი 3-4 წელიანთა ჯგუფზე მიდგა. დარბაზში შემოცქრიალდნენ ლამაზ ფორმებში გამოწყობილი გოგონები და ბიჭები. როგორც ყოველთვის, გამოცდილ აღმზრდელს ნანა სეხნიაშვილს, მის თანაშემწეს ხათუნა მენთეშაშვილს და ძიძა ნინო ღორაშვილს ბევრი უშრომიათ. ვის არ ნახავთ აქ: თამუნა წითელქუდაა, ლუკა ლეკაშვილი – მგელი, იულია - მელია, ლიზი- ბურატინო, ლუკა კედელაშვილი - ზღარბი, ალინა - კურდღელი, გვანცა - ციყვი. ისინი ყველა ერთად ილხენენ და აღარაფერს ერჩიან ერთმანეთს, ამიტომ ბავშვებიც მონდომებით უმღერიან მათ „გაკეთილშობილებას“ და დამეგობრებას. მშვენიერი ანა ფერიაა და ჯადოსნური ჯოხით აწესრიგებს ზეიმის მსვლელობას. ის

ახალ წელსა და მეკვლეს უხმობს.

„სამშობლოვ, შენი კერის მეკვლე ვარ, შენი ლამაზი მიწის მლოცველი“- ომახიანად ამბობს ერეკლე, ის ხომ მეკვლეა თავისი ქვეყნის და თავისი პატარა მეგობრების. „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!“ - ილოცება ლუკა, რომელიც ახალი წელია.

ბავშვებს კი აინტერესებთ, „ გვითხარ წელო ახალო, ჩვენს გულს რით გაახარებ? რას ჰპირდები პატარებს და სამშობლოს საყვარელს?“

„გეტყვით, გეტყვით, ბავშვებო, საუბარი მოგინდათ? სულ მშვიდობას მოგიტანთ, სულ სიხარულს მოგიტანთ!“ პასუხობს მათ ახალი წელი.

ახლა ვნახოთ, რა ხდება საქათმეში? - ეს მამალი ყივის და მამლაყინწებს აღვიძებს. ერეკლეს ყივილზე ბაჩოს, ნიკოლოზს და ანდრიას ეღვიძებათ. „ გაახილეთ თვალი, ჩემო პატარებო. ისეთი სიმღერა უნდა გასწავლოთ, რომ ქვეყანა გააღვიძოთ, სულ მალე ხომ შობა-ახალი წელია!“ მამლაყინწები გამოცდას წარმატებით აბარებენ და ყველა ერთად ყივის:

„ყიულიყო, ყიულიყო,
წიწილებო ლამაზო,
გაიღვიძეთ, ადექით,
შობა უნდა გახაროთ!“

დედალი (ანასტასია) ილვიძებს და წიწილებსაც აღვიძებს (ანამარია, ნინო, ნინო, მარიამი). ისინი ვარჯიშობენ: „გავასწოროთ თავი, გავასწოროთ ტანი“ და მერე ყველა ერთად ილხენს, ზეიმობენ შობა-ახალი წლის მოსვლა, ანანო და ბარბარე წუნას და წრუწუნას განასახიერებენ და წკრიალა ხმით ესიტყვებიან ერთმანეთს. ფერიასა და ბავშვების მოხმობით შემოდის თოვლის პაპა. მას სიმღერითა და ლექსით თავს აწონებენ გვანცა, საბა, თამუნა, ხვიჩა, გიორგი, „ქართულს“ ცეკვავენ ანა და ლუკა. თოვლის პაპა კმაყოფილია და ყველა ბავშვს საახალწლო ტკბილეულს ურიგებს.

* * *

დიდი ფუსფუსია 5-6 წლიანთა ჯგუფშიც. აღმზრდელი ხათუნა ალულიშვილი, მისი თანაშემწე მარინე ნატროშვილი და ძიძა ასმათ ქადაგიძე ბოლო მითითებებს აძლევენ და აწესრიგებენ ბავშვებს. ისმის „მრავალჟამიერი“ და თვალხატულა გოგო-ბიჭები მწყობრი ნაბიჯით, ლაღად შემოდიან დარბაზში. ღონისძიებას მარიამ ზუბიაშვილი ხსნის და სტუმრებს მიმართავს: „მოგესალმებით, დღეს ვზეიმობთ ახალი წლის მობრძანებას. წარმოგიდგენთ ქართულ სუფრას ხალხურ მოტივებზე, გპირდებით, ცოტა ხნით დაგავიწყებთ საკუთარ პრობლემებს და შეგიქმნით ხალისიან განწყობას“. ის სიტყვას გადასცემს თამადას გიორგი ზურაშვილს, რომელიც სუფრას ტრადიციულად „აწესრიგებს“: – „როცა სადღეგრძელოს ვიტყვი, თქვენა გმართებთ სმენაო“ და პირველად საყვარელ ბაღს, მასწავლებლებს და მათზე მზრუნველ ყველა თანამშრომელს ადღეგრძელებს. მერე კი თითო სადღეგრძელოს თქმის უფლებას ყველას უწყალობებს და თანამეინახენიც ენამზეობენ და მჭევრმეტყველებენ. თაზო ალულიშვილი მანდილოსნებს ადღეგრძელებს, თათია ცისკარაული–ახალ წელს, ლუკა ნაროზაული ახალი წლის პირით ილოცება: დაე, სწავლით და გმირობით ხარობდეს ყველა ქართველიო, ახალი წლის დადგომას მიულოცავს სრულიად საქართველოს გიორგი გურამიშვილი, ეს მარიტა ასანიშვილია–პაწია ფიფქი, სიმღერით რომ მოიჩქარის დედამიწაზე, თორნიკე ალბუთაშვილი ნაძვის ხეს აქებს, ნიკოლოზ მჭედლიშვილი გვისურვებს, რომ „ჩვენს გულებში არასდროს არ დაიზამთროს“, თოვლის პაპასთან ერთად ილხენენ ლუკა ახალაური, ნანა არაბული, ბარბარე ნაზღაიძე, დავით ჯიბლაშვილი, გაგა ხიზანიშვილი, ლუკა ბეგიაშვილი, ლიზი ქოქუაშვილი, თათია ცისკარაული, გიგა პოპიაშვილის გული კი სიხარულით სავსეა, რადგან „დილა არის ახალი წლის“. ბავშვები სტუმრებისა და თოვლის პაპის წინაშე ცეკვით იწონებენ თავს. ცეკვა „მთიულური“ შეასრულეს მარიამ ზუბიაშვილმა, ნია ნაროზაულმა, ანა ტუხაშვილმა, ელისაბედ გიგაურმა, კესარია ჭუბაბრიამ და მარიამ ვაირადიანმა, „კინტაურით“ მოხიბლეს მაყურებელი გიორგი ზურაშვილმა, დავით მატიაშვილმა, ნიკოლოზ ჭუბაბრიამ, დავით ოგანესიანმა. „ქართული“ იცეკვეს მარიამ გიგოლაშვილმა და საბა ბოჭორიშვილმა . ისმის „ღვინოვ, კახურო“ და გუგუნებს დარბაზი. N3 საბავშვო ბაღის ზეიმებმა მაღალ დონეზე ჩაიარა, რაშიც დიდი შრომა ჩადო მუსიკის მასწავლებელმა ხათუნა ჯანაშვილმა.

ყველა ბავშვმა სახალწლო საჩუქარი მიიღო თოვლის პაპისგან.

ბაღის დირექტორმა მაია ფოცხვერაშვილმა ბავშვებს მიულოცა ახალი წელი და მადლობა გადაუხადა ყველას ლამაზი სადღესასწაულო განწყობისთვის.

ბედნიერი და მშვიდობიანი შობა-ახალი წელი ვუსურვოთ ჩვენს პატარებს.

ნაირა გორაშვილი



ნათია ხუციშვილი (**მშობელი**): რვა წელი ველოდებოდი ჩემი პირველი შვილის დაბადებას. ახლა მარიამი 6 წლის არის, მე კი, ღმერთის წყალობით, უკვე სამი შვილის დედა ვარ. მარიამი და ანდრია ქალაქ დედოფლისწყაროს №3 ბაგა-ბაღში დადიან. გიორგი კი ჯერ 7 თვისაა. მინდა კმაყოფილება და მადლიერება გამოვთქვა იმ კომფორტის, ხარისხიანი და კალორიული კვების და დიდი საალმზრდელო მუშაობისათვის, რომელსაც ამ საბავშვო ბაღის კოლექტივი ეწევა მაია ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. რა თქმა უნდა, დღეს რომ ჩვენი ბავშვები საიმედო ხელში არიან და ჩვენ დაუფიქრებლად ვანდობთ შვილებს, დიდი წვლილი აქვს საალმზრდელო ცენტრს და, პირადად მის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს. ჩემთვის დიდი შეღავათია, რომ ჩემი ორი შვილი უზრუნველია ბაღის მომსახურებით და ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იფარება ეს დიდი შეღავათია მშობლებისათვის, რისთვისაც მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. ჩემი შვილების თანაჯგუფელებს და ყველა ბავშვს ვულოცავ ახალ წელს, ბედნიერ და ლაღ ბავშვობას ვუსურვებ თითოეულ მათგანს.

# დაფუძნდა წითელი ჯვრის საზოგადოება

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც საფუძველი 1863 წელს ჩაეყარა, თავდაპირველად შემოიფარგლებოდა ბრძოლაში დაზარალებულ ომის მონაწილეთათვის დახმარებით, ხოლო შემდგომ ამ ორგანიზაციის საქმიანობა მშვიდობიან მოსახლეობაზეც გავრცელდა და იგი ამჟამად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია შექმნილი.

საქართველოში წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ნებაყოფლობით, ჰუმანიტარულ, არასამთავრობო სფეროში ხელისუფლების დამხმარე დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს რეგიონული და ადგილობრივი განყოფილებები თითქმის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

28 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ჩატარდა დამფუძნებელი კრება, რომელზეც არჩეულ იქნენ დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარედ-გინეკოლოგი ნათელა თამაზაშვილი, ხოლო კომიტეტის წევრებად მარინა ტოკლიკიშვილი და ელენე პოპიაშვილი. ამ ორგანიზაციისთვის ევროსტანდარტებით გარემონტებული ოფისი უახლოეს დღეებში გაიხსნება და მოსახლეობას საშუალება ექნება კვალიფიციურ ექიმებთან უფასო მომსახურების. როგორც ქალბატონმა ნათელამ კრებაზე ახლადშექმნილი წითელი ჯვრის საზოგადოების წევრებთან შეხვედრაზე აღნიშნა, მათი მისია იქნება მოსახლეობისათვის საგანგებო სიტუაციებში დახმარება, როგორც სამედიცინო, ისე ადამიანური რესურსის გამოყენებით, განსაკუთრებული ზრუნვა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების ჯანმრთელობაზე, მათ კეთილდღეობაზე.

ახალი ოფისის ამოქმედებისთანავე ჯერჯერობით ოთხი სამედიცინო პროფილის მიხედვით ექნებათ პაციენტებს დიაგნოსტირება- მკურნალობის საშუალება, მათ მოემსახურებათ პროფესიონალი ექიმები ულტრათანამედროვე აპარატურის მეშვეობით. მიმდინარეობს საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების ეფექტიანი მეთოდების შემუშავება.

ელზა ხარაშვილი

# საახალწლო ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია 2000 წელს ითვლის

რატომ დავიწყეთ ხეების მორთვა?

წარსულში ხეების მაგიური ძალის სჯეროდათ. დრუიდების ცნობილ ჰოროსკოპში ადამიანის ბედისწერა "მისი ხის" მიხედვით ისაზღვრება.

ჩვენს წინაპრებს სწამდათ, რომ ხეებში ნაყოფიერების სულები სახლობენ, რომელთა კეთილგანწყობაზეც პურის, ხილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობა არის დამოკიდებული.თქმულების მიხედვით, სულები, შესაძლოა, ბოროტებიც ყოფილიყვნენ, ამიტომ საჭირო იყო სხვადასხვა საჩუქრებით მათი კეთილგანწყობის მოპოვება.ამ ხეებს შორის, მარადმწვანე ნაძვის ხეს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ჩვენი წინაპრები მას "მსოფლიო ხედ" მოიაზრებდნენ, რომელიც სიცოცხლის უწყვეტობის სიმბოლო იყო. ტყეში ყველაზე დიდ ნაძვის ხეს პოულობდნენ და მასზე უამრავ საჩუქარს კიდებდნენ, რათა წელი ნაყოფიერი გამომდგარიყო.

ძველი ევროპელები ნაძვის ხის ტოტებზე ვაშლებს, კვერცხებსა და კაკალს კიდებდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ასე მორთული ნაძვის ხე ბოროტ სულებს და ყოველგვარ უწმინდურობას "ისხლეტდა". აღსანიშნავია, რომ ასე მორთულ ნაძვის ტოტებს ძველი ევროპელები სახლის კართან კიდებდნენ, მას სათამაშოებითაც რთავდნენ.

ამის შესახებ მსოფლიომ, სავარაუდოდ, გერმანელი მწყემსებისგან შეიტყო, რის შემდეგაც ამ ტრადიციამ სულ მალე გადაინაცვლა სამეფო კარზე, სადაც პრინცესები იზრდებოდნენ, შემდეგ სხვა ქვეყნების უფლისწულებს მიჰყვებოდნენ ცოლად და ამის ხარჯზე ნაძვის ხის მორთვის ტრადიციამ ფესვი თითქმის მთელ მსოფლიოში გაიდგა.სწორედ ახალგაზრდა გერმანელმა პრინცესამ მორთო მე-17 საუკუნეში პირველი საახალწლო ნაძვის ხე ინგლისში, მეორე პრინცესამ ეს ტრადიცია საფრანგეთში დაამკვიდრა,ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ პირველი საახალწლო ნაძვის ხე მე-16 საუკუნეში ქალაქ ელსაზში მორთეს, რომელიც იმ პერიოდში გერმანიას ეკუთვნოდა, ახლა კი ის საფრანგეთის ნაწილია.

### ლეგენდები ნაძვის ხის მორთვასთან დაკავშირებით

ალბათ ბევრმა არ იცის, რატომ ვრთავთ საახალწლოდ მაინც და მაინც ნაძვის ხეს, რომელსაც კათოლიკურ სამყაროში საშობაო ხეს უწოდებენ.

ლეგენდის თანახმად, მე-7 საუკუნეში ინგლისელი მღვდელი გაემგზავრა გერმანიაში ქრისტეს სჯულის გასავრცელებლად. ადგილზე მისულმა მოძღვარმა მრევლს ნაძვის ხის სამკუთხოვან ფორმაზე აუხსნა სამების (მამა, ძე და სულიწმინდის კავშირი) არსი. ამგვარად, მრევლმა სწორედ ნაძვის ხესთან მოახდინა წმინდა სამების დაკავშირება. ასე იქცა ნაძვის ხე შობის სიმბოლოდ ევროპაში, შემდეგ კი მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

ნაძვის ხის, როგორც ქრისტიანული შობის სიმბოლოს გამოჩენას კიდევ ერთი ვერსია უკავშირდება გერმანელი მისიონერის, წმინდა ბონიფაცის სახელს. VI სუკუნეში, წარმართებთან ქრისტიანობის ქადაგების დროს მისიონერმა მოჭრა მათი ღვთაების, ტორისადმი მიძღვნილი უზარმაზარი მუხა. წმინდა ბონიფაცის ამით უნდოდა ეჩვენებინა წარმართული ღმერთების უძლურება. დაცემისას მუხამ ყველა ხე წააქცია, გადარჩა მხოლოდ ერთი ნაძვი. აქედან მოყოლებული, იქცა ნაძვი შობის სიმბოლოდ ცენტრალური ევროპის ტომებში.

არის კიდევ ერთი ლამაზი ლეგენდა, რომლის მიხედვით, როდესაც იესო დაიბადა, ყველა ხემ მიართვა ძღვენი ახალშობილ უფალს: ბლის ხემ — ბალი, ვაშლის ხემ — ვაშლი და ა.შ. მხოლოდ ნაძვი იდგა და ჩუმად ტიროდა, ვერ ბედავდა ახალშობილთან მიკარებას, რადგან ეშინოდა არ დაეკაწრა. იესომ შეიწყალა საბრალო ნაძვი და ტკბილეულით და სათამაშოებით დაამშვენა. ამიტომაც ვრთავთ ნაძვის ხეს შობის აღსანიშნად.

ერთერთი ლეგენდა პროტესტანტული ქრისტიანობის სულის ჩამდგმელს მარტინ ლუთერსაც უკავშირდება. ლეგენდის მიხედვით მარტინ ლუთერი დათოვლილ ნაძვნარში მიდიოდა, თოვლს მთვარის შუქი ეცემოდა და ისე ბრწყინავდა, როგორც მოლივლივე ზღვა მზის ჩასვლისას. ლუთერი აღაფრთოვანა პეიზაჟის მშვენიერებამ. მან მარადმწვანე ხე მოჭრა, სახლში წაიღო და სანთლებით მორთო. ამის შემდეგ კი, ლუთერანულ ეკლესიაშიც დადგეს წინასაშობაოდ და წარმოიშვა საახალწლოდ ნაძვის მორთვის ლამაზი ტრადიცია.

ნაძვის ხეს ჯერ თხილით, კამფეტებითა და მორთული კვერცხებით ამშვენებდნენ. პირველი მინის ბურთულა კი XVII-ის დასაწყისში შექმნეს თიურინგიაში



(გერმანია).

მაგრამ ისიცაა ცნობილი, რომ ნაძვამდე სხვადასხვა ქვეყნებში სხვა ხეებს რთავდნენ. არსებობდა მუხის მორთვის ტრადიციაც. ტყეში ერთ დიდ მუხას აარჩევდნენ და იმას ამშვევებდნენ ფერად ფერადი მოსართავებით. ტროპიკულ ქვეყნებში კი არსებობდა პალმის მორთვის ტრადიცია. ცხელ ქვეყნებში სადაც ნაძვი ვერ ხარობს გაქრისტიანებული მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პალმას რთავდნენ. მაგრამ ეს პრობლემა დღეისათვის მოგვარებულია, რადგან მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაშია ხელმისაწვდომი ხელოვნური ნაძვის ხე.

ბოლოს კი მოგიყვებით ქართულ ტრადიციულ საახალწლო ატრიბუტზე .ეს არის ჩიჩილაკი. წმინდა ბასილი დიდს ,,ქართული ნაძვის ხე" — ჩიჩილაკი უკავშირებდა. ჩიჩილაკი ნედლი თხილის ტოტისგან ითლება და თავისივე ნათალი ჩამოუყვება ვერტიკალურად. ხალხში ჩიჩილაკს ,,ბასილას წვერს" ეძახიან. ჩირითა და სუროს ფოთლებით მორთულ ჩიჩილაკს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სადღესასწაულო ხონჩაზე, რომელიც ახალი წლის ღამეს იშლებოდა. ნათლისცემის წინა დღეს კი ,,ბასილას წვერებს" აუცილებლად წვავდნენ და მის ფერფლს ატანდნენ გასული წლის უსიამოვნებებს.

ჩიჩილაკი დღესდღეობით ევროპიდან შემოსული ნაძვის ხის გვერდით იმკვიდრებს ადგილს და კარგავს რიტუალური ნივთის ფუნქციას. იგი ახალი წლის დეკორატიულ სამშვენისს წარმოადგენს.

# როგორ ხვდებიან ახალ წელს საქართველოში...

საქართველო პატარა, მაგრამ მრავალფეროვანი ქვეყანაა და ამიტომ აქ, მის სხვადასხვა რეგიონში, ახალი წლის შეხვედრის განსხვავებული ტრადიციები და რიტუალები არსებობს. თუმცა, არის რამდენიმე დეტალი, რომელიც საქართველოს ნებისმიერი კუთხისათვის აუცილებელი ატრიბუტია. ერთ—ერთი მათგანია თოვლის პაპა (ბაბუა), რომელიც მიუხედავად ევროპული სანტა კლაუსების მოჭარბებისა, ჩვენში მაინც წლის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულის ერთ—ერთ მთავარ ატრიბუტად რჩება.

საქართველოში საუკუნეებია არსებობს მეკვლეს ტრადიცია, რომლის არჩევასაც ოჯახი ძალიან მნიშვნელოვნად თვლის, რადგან სწორედ მეკვლეზე და მის ფეხბედნიერობაზე დამოკიდებული მომავალი წლის ხვავი, ბარაქა და ბედნიერება ოჯახში. მეკვლეს საახალწლო ხონჩით ხვდებიან. სხვადასხვა კუთხეებში, მისი მიღების განსხვავებული წესები არსებობს. უძველესი ქართული საახალწლო ტრადიციები, განსაკუთრებით კარგად საქართველოს მთიან რეგიონებშია შემორჩენილი.

მაგალითად, სვანეთში დღემდე არსებობს ასეთი წესები: ახალი წლის ღამეს, სვანები სურსათით სავსე გიდელს ჭიშკარზე ჩამოკიდებენ. ეს გიდელი სპეციალურად მეკვლესთვისაა განკუთვნილი. ხევსურები საახალწლოდ არაყს ხდიან, ლუდს ხარშავენ, ბედის კვერებს აცხობენ, სადაც სხვადასხვა ფიგურები, მათ შორის, ჯვარი, ადამიანი, ცხენი, ქერის თავთავია გამოსახული. ხევსური მამაკაცები ახალ წელს ხატში იკრიბებიან.




ქართლში ტრადიციად იყო ბასილას ქანდაკების გამოცხობა, ასევე, ოჯახის წევრებისათვის ბედის კვერი. ბედის კვერს შინაურ ცხოველებსაც უცხობდნენ. საახალწლო ხონჩას აქ "აბრამიანს" უწოდებენ.

„საინგილოში საახალწლოდ დაამზადებენ ხონჩას; დააწყობენ ზედ პურებს, ლავაშს, დადგამენ ჯამით თაფლს, ერბოს, ღვინოს, ბამბის წითელ და თეთრ ძაფებს და სახლისდიდთან ერთად წავლენ ვენახის საკვლევად. მივლენ ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან. სახლის უფალი ჯერ გასხლავს ვაზს, მერე ააგებს, ჭიგოების ჩარჭობის დროს ნიადაგს ღვინით მოალბობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაკლავს წითელ ფრთოსან მამალს, წითელ ფრთებს მოაგლეჯს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჭიგოსა და ვაზზე მიაკრავს და თან იტყვის: "ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოსა." თითო ლუკმა პურს ამოაწებენ თაფლსა და ერბოში, შეჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან. ახალი წლის დღეს ინგილოებმა სადილი იციან ადრე. უფრო ქათმის წვენსა და ფლავს აკეთებენ. სადილად მოელიან გარეშე მეკვლესაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისგან დაუჩაგრავი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მანამ მეკვლე არ ეწვევათ, არავის მიიღებენ სახლში".

სამეგრელო—გურიაში ახალ წელს კალანდას უწოდებენ და სროლით ეგებებიან. ეს საახალწლო ტრადიციები დაწვრილებით არის აღწერილი სხვადსხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებებში, რომელნიც წარმოშობით ამ რეგიონებიდან იყვნენ. განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსგან, დასავლეთში ჩიჩილაკის ტრადიციაა, რომელსაც დასავლეთში ყველა ოჯახში შეხვდებით.

რაჭველები ახალ წელს ბაჭულებით ხვდებიან. „აცხობენ აგრეთვე ადამიანის სახის კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს "კერია-ბერია"-ს, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ. ამ ნამცხვრებს ოჯახის უფროსი ცხრილზე დაალაგებს და ბეღელში შეინახავს. მამლის პირველი ყივილისას "მაკვრიელი" ან მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გავა, მარხილზე დაწყობილ ნეკერს მოტეხავს, ჩიჩილაკს აიღებს და ბეღელში შევა. შემდეგ შინ შემოვა ლოცვით "შემოვდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი. დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ღვინიანობის, პურიანობის", შემდეგ წყლის მოსატანად წავა. მის დაბრუნებამდე ყველანი დგებიან. მეკვლე ყველას ხელპირს დაბანინებს. საუზმის დროს კი ოჯახის ყველა წევრს "კერია-ბერია"-ს უნაწილებენ".

ძმა კარლო კანდელაკიშვილი, შვილები: ნოდარი, მანანა, მარინა, სიძეები: ბიძინა პაპაშვილი, დავით ნასრაშვილი, არჩილ ელაშვილი, რძლები: ნინო საყვარელიძე, ნინო მანჯგალაძე, ნინო აროშვილი, შვილიშვილები: გიორგი, ქეთევან, მარიამ ცხვედიაშვილები, ილია, ნოდარ პაპაშვილები, ლევან , ბექა, ნიკა ნასრაშვილები, შვილთაშვილები: ნუცა ელაშვილი, ანდრია ცხვედიაშვილი იუწყებიან

ლენა ცხვედიაშვილის

გარდაცვალებას.

დაიკრძალა 29 დეკემბერს, სოფელ ზემო მაჩხაანში.

სოსო და ნიაზი ჯანაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ, მანანა, მარინა ცხვედიაშვილებს, ნინო საყვარელიძეს

ლენა ცხვედიაშვილის

გარდაცვალების გამო.

შპს „შირაქი"-ს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა და მანანა ცხვედიაშვილებს დედის

ლენა ცხვედიაშვილის

გარდაცვალების გამო.

# ვარსკვლავთცვენა დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე, ნაძვისხესთან საახალწლო გალა-კონცერტი გაიმართა. საღამო თამუნა გომართელს მიჰყავდა, რომელიც





ძალზე ენერგიული წამყვანი იყო და აუდიტორიას გააქტიურების სტიმულს აძლევდა.

გასული წლის მსგავსად, წლევანდელი კონცერტიც ნინი ბადურაშვილმა გახსნა, თუმცა შარშანდელისგან განსხვავებით წელს უფრო მეტი საკონცერტო ნომერი შეასრულა. დედოფლისწყაროელების საახალწლო განწყობაზე ასევე ზრუნავდნენ სხვა ცნობილი სახეებიც: ნინი შერმადინი, ნინო ძოწენიძე, ვერიკო ტურაშვილი და დათუნა მგელაძე.

როგორც წესი, აქამდე თითოეული მათგანი მხოლოდ სამ ნომერს ასრულებდა ხოლმე, ამჯერად კი მათ გაცილებით მეტი სიმღერა აჩუქეს ადგილობრივ მსმენელს. სიცივის მიუხედავად მაყურებელი აქტიურობდა და ემოციებს არ იშურებდა.

გასული წლებისგან განსხვავებული საახალწლო განათებებია დამონტაჟებული ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანსა და მთავარ ქუჩებზე, რამაც სადღესასწაულო განწყობა კიდევ უფრო გაამძაფრა.

მაყურებელი განსაკუთრებით გამოაცოცხლა და აათუხთუხა სცენაზე ნინო ძოწენიძის გამოჩენამ, რომელმაც მისი ცნობილი ჰიტები შეასრულა და ახალგაზრდობაც აიყოლია.

მოგვიანებით სცენაზე ავიდა და დამსწრე საზოგადოებას დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, შემდეგ კი წამყვანთან ერთად მომდევნო შემსრულებელი გამოაცხადა.

გაზეთი „შირაქი“ ცნობად სახეებს გაესაუბრა და კომენტარი სთხოვა.

**ნინი ბადურაშვილი (მომღერალი):** „ძალიან მიხარია, რომ უკვე მეორე წელია, დედოფლისწყაროში ჩამოვდივარ და წინასაახალწლო განწყობას ვქმნით. მშვენიერი კონცერტი გამოვიდა, ძალიან თბილი გარემოა, აქ საუკეთესო მაყურებელი მხვდება და მიხარია, რომ ბედნიერებას ვანიჭებ. გილოცავთ ახალ წელს და ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ, წარმატებების წელი



ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ ტრადიციას არ დავარღვევ და მომავალ წელსაც მომეცემა დედოფლისწყაროში ჩამოსვლის საშუალება“.

**ნინი შერმადინი (მომღერალი):** „საზღვარგარეთ მოგზაურობის შემდეგ ამჯერად ჩემს საყვარელ კახეთს დავუბრუნდი და გულწრფელად გითხრათ, ამით ძალიან ბედნიერი ვარ. მე კახეთში დავიბადე და გავიზარდე. სხვათაშორის, დედოფლისწყაროშიც პირველად არ ვარ, აქ ადრეც ვყოფილვარ. მადლობელი ვარ დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების და კონცერტის ორგანიზატორების, რომ ამის საშუალება მოგვეცა და ლამაზი დღე ვაჩუქეთ დედოფლისწყაროელებს. ვეცადე, ჩემი წვლილი შემეტანა საახალწლო განწყობის შექმნაში. მინდა მოგილოცოთ 2016 წლის შემობრძანება და ყველას ბედნიერება, ხვავი და ბარაქა გისურვოთ. წარმატებული წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის“.

**დათუნა მგელაძე (მომღერალი):** „ძალიან კარგად მიგვიღო დედოფლისწყარომ, კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო შედგა. ბევრჯერ ვარ აქ ნამყოფი და სიხარულით მოვდივარ ხოლმე. რამდენჯერაც დამპატიჟებენ, მზად ვარ ყოველთვის ჩამოვიდე. მინდა ახალი წელი მივულოცო თითოეულ ქართველს და სურვილების ასრულების წელი დამდგარიყოს ჩვენი ქვეყნისთვის და



მშვიდობა იყოს“.

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი):** „მე ვფიქრობ ძალიან კარგი კონცერტი გამოგვივიდა, ახალგაზრდობამ იაქტიურა და თუკი მათ ბედნიერება მივანიჭეთ, ეს ჩვენი ვალიცაა. ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ახალგაზრდებს ცხოვრება გავუხალისოთ. ხედავთ, რომ საკუთარი სცენა შევიძინეთ და დაქირავება აღარ გვიხდება. ასევე, განათება და ეკრანი ვიზუალურად გაუმჯობესებულია. ვფიქრობ, მაყურებელი კმაყოფილია. მინდა ვისურვო, რომ როგორი კარგი განწყობაც ახლა ამ სცენაზე და მოედანზე სუფევდა, ასე გაჰყვეს ყველა დედოფლისწყაროელს მთელი წლის ბოლომდე“.

საახალწლო გალა-კონცერტი გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

### ლანა ყოჩიაშვილს!



ჩემო პირველო სიხარულო, ბებოს სიცოცხლევ, გილოცავთ დაბადების დღეს და შობა-ახალ წელსაც. მრავალს დაესწარი შენს მშობლებთან და ძამიკოსთან ერთად. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და სწავლაში წარმატებებს. იყავი ჭკვიანი და დამჯერი, აგხდენოდეს შენი ლამაზი ოცნებები. უყვარდე უფალს და გმფარველობდეს ყოველთვის.

**სიყვარულით,**
შენი ლამარა ბებო და **მამიდა** მაკა.

## მადლიერება!

მადლობას ვუხდით სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის დირექტორს ქალბატონ მაია ყოჩიაშვილს და მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს ლამაზი, გარემონტებული ბაგა- ბაღისა და გულუხვი საახალწლო საჩუქრებისთვის.

არბოშიკის
ბაგა-ბაღის მშობლები



## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 04.01 დღე | ორშაბათი 04.01 ღამე | სამშაბათი 05.01 დღე | სამშაბათი 05.01 ღამე | ოთხშაბათი 06.01 დღე | ოთხშაბათი 06.01 ღამე | ხუთშაბათი 07.01 დღე | ხუთშაბათი 07.01 ღამე | პარასკევი 08.01 დღე | პარასკევი 08.01 ღამე | შაბათი 09.01 დღე | შაბათი 09.01 ღამე | კვირა 10.01 დღე | კვირა 10.01 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| -11 ° | -7 ° | -3 ° | 0 ° | 1 ° | 0 ° | 0 ° | -3 ° | -2 ° | -5 ° | -2 ° | -4 ° | -2 ° | -1 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.